

საქართველო

2018


ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე

Georgia at the Frankfurter Buchmesse

პრილი

სპეციალური გამოცემა #1

ავტორები | ჟანრები | წიგნები



Georgia
Made by Characters

Guest of Honour
Frankfurter Buchmesse 2018
www.georgia-characters.com

- ფრანკფურტის ბაზრობა და ოლიმპიური ზავი ქართულ ლიტერატურაში
- როგორ ვთარგმნოთ ტკივილი ანუ პოეზია ენის ტყვეობაში
- თანამედროვე ქართული პოეზია გერმანულად
- საუბარი მკითხველთან ქართულ კლასიკურ ლიტერატურაზე
- რატომ ცდილობენ გივი მარგველაშვილის პერსონაჟები ტექსტიდან გაქცევას?
- თარგმანები – რომანი, ლექსები, მოთხრობები, ანთოლოგიები, კლასიკა და სხვ.



ანბანით მოთხრობილი საქართველო

10.-14. Oktober 2018
FRANKFURTER BUCHMESSE
 Ehrengast Georgien



ვაფასებთ განვლილ წლებს, რაც პროექტზე მუშაობა დაეხმარა და დიდი გამოწვევებით სასვე გზა გამოვიარეთ. არ არის მარტივი სულ რამდენიმე წელიწადში მცირე ენაზე შექმნილი მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურა თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის რუკაზე მონიშნო, საქართველოს მკითხველი შენს ავტორებზე ალაპარაკაო. შედეგად გერმანულ წიგნის მაღაზიებში და თაროებზე ქართველი ავტორების არაერთ გამოცემას ვხვდავ გერმანულ თარგმანებში. საინტერესო რეცენზიები ინერება ქართულ წიგნებზე, რაც, ბუნებრივია, გვიჩენს დიდი სიამაყის გრძნობას.

2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საპატიო სტუმრის სტატუსმა ქართულ ლიტერატურას და ავტორებს დიდი და საინტერესო მოგზაურობა დაანეგმიზა, ხოლო გერმანელი მკითხველი აუდიტორიის გახსნილობამ და ჩვენი ავტორების მიმართ მათი მხრიდან გაზრდილმა ინტერესმა დამატებითი ძალა მოგვცა, რათა 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ქართული კულტურის და ლიტერატურის ხასიათი განსაკუთრებით მრავალფეროვნად ვაჩვენოთ.

Georgia Made by Characters სლოგანი ზუსტად ასახავს იმ პათოსს, რომლითაც ქართველი მწერლები და არტისტები საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე წარდგებიან. დიახ, ქართულმა ანბანმა შექმნა საქართველო... ქართული კულტურა, რომლის იდენტობასაც ვგეღვ ეპოქაში ქართული ენა და დამწერლობა განსაზღვრავდა, უნიკალურ ანბანზე შექმნილი ქართული ლიტერატურა, რომელიც მე-9 საუკუნიდან დღემდე უწყვეტად იმავე ანბანზე იქმნება.

გლობალიზაციის ეპოქაში კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება მცირე ერებისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ქართული დამწერლობა

და ენა, ჩვენი იდენტობის და სახელმწიფოებრიობის მთავარი მახასიათებლები, განსაკუთრებულ ყურადღებას, დაცვას და განვითარებას საჭიროებენ. სიმბოლურია, რომ კულტურული მემკვიდრეობის ევროპულ 2018 წელს (The European Year of Cultural Heritage 2018), რომელიც ასევე საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის თავს ემთხვევა, საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე სლოგანით Georgia Made by Characters წარდგება და თავის ამბავს 33 უნიკალური ასონიშით მოჰყვება.

დიდი ქართველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე თავის ერთ-ერთ ლექსში ზუსტად გვიზიარებს იმ განწყობას და ემოციას, რომელიც მას, როგორც მწერალს ქართული ენის წინაშე არსებული გამონეგებლისადმი გააჩნდა:

მე დაგიგებთ ყურს თუნდ მთელი დღე და მთელი ღამე,
 მე დაგიგებთ ყურს თვეობით და წელიწადობით -
 ილაპარაკეთ, გვეუბრებით... ოღონდ ქართულად...
 ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ.



Georgia Made by Characters
 Guest of Honour
 Frankfurt Buchmesse 2018
www.georgia-characters.com

მადლობა მინდა გადავუხადო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობას, ყველა ჩვენს გერმანელ პარტნიორს და მეგობარს ქართული ლიტერატურის მიმართ ასეთი მზარდი ინტერესისა და მხარდაჭერისთვის და წარმატება ვუსურვო ვგელა ქართველ ავტორს 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე.

მადია მატრეველი
 ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის დირექტორი

პარტნიორი
ციხის
 პროექტი
 სახელი



www.georgia-characters.com



საპარტნიორო ურთიერთობების განვითარების ცენტრი საქართველოში

სარედაქციო ჯგუფი
 რედაქტორები: ნიკოლოზ აგლაძე, ლევან დორეშვილი, მალხაზ ხარბედაძე.
 თარგმანი გერმანულად: ეკა ჭორბაძე, ლევან ბრეგაძე.
 მხატვარი: მამუკა ტყემელაშვილი.
 კორექტორი: ინა ბრჩუაშვილი.
 კომპიუტერული უზრუნველყოფა: თამაზ ჩხაიძე.
 პროექტის მენეჯერი: ეკა ხარბედაძე.

ნიკოლოზ აგლაძე კლასიკოსები და თანამედროვენი

საუბარი შკითხველთან ქართული კლასიკური ლიტერატურის
ფრანკფურტული პერსპექტივების შესახებ

„ვინ უმატრონებს“ კლასიკოს მწერლებს“ - ამ შეკითხვით 2018 წლის მარტში „ლიბერალის“ ჟურნალისტებმა ზურაბ ვარდიაშვილმა და მარიამ ქართველიშვილმა ქართული ნიგნის ეროვნული ცენტრის დირექტორს, მედია მენეჯერს მიმართეს. ვინაშე კომერციულ მიდგომას რომ აფარდოთ თავი (მით უფრო, საკითხის ტექნიკური მხარე ქალბატონმა მედია ინტერვიუში მშვენივრად განმარტა), ჟურნალისტების შეკითხვა მსჯელობისათვის უაღრესად საინტერესო თემას ნამოჭრის. მართლაც, როგორ იქნება წარმოჩენილი ქართული კლასიკა ფრანკფურტის წინაშე ბაზრობაზე და, საერთოდ, რა ინტერესს შეიძლება წარმოადგენდეს ის უცხოელი მკითხველისათვის, რომელსაც, სავარაუდოდ, არცთუ დიდი ინფორმაცია აქვს ჩვენი მწერლობის შესახებ.

რა თქმა უნდა, გერმანელთან შედარებით, ქართველ მკითხველს ერთგვარი უპირატესობა და, ამავე დროს, ხელის შემშლელი ფაქტორი აქვს - სკოლის საბით, რომელიც აცნობს ნაწარმოებებს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, არ აძლევს მათი პირველადი, უშუალოდ, ცოცხლად აღქმის საშუალებას. მიუხედავად ამ შესაძლო დაბრკოლებისა, ქართული კლასიკის მოსალოდნელი ფრანკფურტული ოდისეის შესახებ დამდებელ თეთრიულ მსჯელობას, ვარჩევ სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და მსოფლმხედველობის ადამიანებისათვის დამესვა შეკითხვები და მათი აზრი წარმომჩინა ქართული ლიტერატურის ამ მნიშვნელოვანი ნაწილის ევროპული რეპრეზენტაციის პერსპექტივების შესახებ. ამისთვის კი შემდეგი გზა ავირჩიე - შორეულ რესპონდენტებს (შერჩევა ხშირად ძალიან სუბიექტური იყო, მაგრამ პროფესიული, ასაკობრივი და მსოფლმხედველობრივი ნიარგვარობის კრიტერიუმი - მუდამ დაცული) მივანდოე უკვე ნათარგმნი და გამოცემული ნიგნების ნუსხა - სულ ოციოდე, შთა რუსთაველიდან ჯემალ ქარჩხაძემდე და „სიბრძნე სიცრუისადა“¹, ვიდრე შთა ჩანტლამდე, რომელსაც ორი შეკითხვა დავუთრე. მანტერესებდა, თუ რომელი ნაწარმოების ნახვა აღმოჩნდა საინტერესო, ან სასიარულო რესპონდენტისათვის და რით მიიძღვნა, ზოგადად, იგოს საინტერესო გერმანელი მკითხველისათვის ქართული ლიტერატურა.

პირველ შეკითხვაზე პასუხები ძალიან მრავალფეროვანი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ შეკითხვის ფორმა უფრო მხოლოდითი რიცხვისაკენ იხრებოდა, რესპონდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ რამდენიმე ნაწარმოები დაასახელა. მაგალითად, ფილოსოფოსმა ზაზა ფირალიშვილმა თავიდანვე აღნიშნა, რომ ნაწარმოების გამორჩევა გაუჭირდებოდა. შემდეგ კი კონკრეტული კრიტერიუმი შეარჩია და არჩევანი მის მიხედვით გააკეთა. მისი აზრით: „თუ მანძილ უნდა გამოვიყო, დავით კლდიაშვილს და ოთარ ჭილაძეს გამოვიყოფდი. კერძანულელებზე ხშირად ამბობენ, რომ მათი დისციპლინირებულობა,




დავით კლდიაშვილი

რეაქციაა მათი ღრმად დაფარული ქაოსისა და ანარქიის ენებაზე. როგორც მკობია, სწორედ აქ, ამ შრეში შეიძლება პოვის გამოძახილი ამ ორი მწერლის ტექსტებში“.

საერთოდაც, კომბინაციების ნიარგვარობის მიუხედავად, შეინიშნებოდა გარკვეული თანხედრა პასუხებში. მაგალითად, ჩემს თანამოსაუბრეთა უმრავლესობამ ოთარ ჭილაძე, მიხეილ ჯავახიშვილი და ვაჟა-ფშაველა დაასახელა. საინტერესოა, ასევე, რომ გამოკითხულ მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა ყველაზე მეტად „ვეფხისტყაოსნის“² ფრანკფურტში წარმოჩენების ფაქტზე გაამახვილა ყურადღება, მაშინ, როდესაც მიხეილ ჯავახიშვილი და ოთარ ჭილაძე უფროსი თაობის მკითხველებმა დაასახელეს. ფიზიკოსმა ირაკლი კორძაბიამ, მაგალითად, პირდაპირ განცხადდა: „ოთარ ჭილაძე მსოფლიო დონის პროზაიკოსია და მისი თარგმნა განსაკუთრებით სასიარულო და საამაყო ჩემთვის“.

უწინშენილოვანესი მწერლისა და ნაწარმოების შერჩევა მაინც რთული აღმოჩნდა და მოსაზრებებიც - საკმაოდ განსხვავებული, რაც, ალბათ, გასაკვიროც არაა. სამაგეროდ, მეორე შეკითხვაზე, ქართული ლიტერატურისადმი მოსალოდნელი ინტერესის მიზნებზე საუბრისას, ნათლად გამოიკვეთა ორი პოზიცია. არსებითად განსხვავებული მოსაზრება გა-

ქართული



მარიამ ბერიძე

მოთქვა მხოლოდ ბიოლოგმა მანანა აღიბეგაშვილმა, რომელმაც პროფესიისათვის ჩვეული ჯანსაღი ცინიზმით ეჭვქვეშ დააყენა ქართული კლასიკის მიმართ გამოსავლენი ინტერესი: „უბრალო მკითხველისათვის რამდენად საინტერესო იქნება არ ვიცი. თუ მათთვის ცნობილია რომელიმე ქართული ნაწარმოები, მაშინ ექნებათ ინტერესი სხვა ნაწარმოებების წაკითხვის. რატომღაც მგონია, რომ სხვა შემთხვევაში, დიდ ინტერეს არ გამოიწვევს...“ ჩემი მხრივ, უნდა შევნიშნო, რომ ამგვარი მოსაზრების არსებობა, ვფიქრობ, ძალიან სასარგებლოა უსაფუძვლო ენთუზიასტებისა და სხვა ტიპის მეოცნებეთა რეალობასთან დასაბრუნებლად, თუმცა ის მაინც მარგინალურად უნდა ჩაითვალოს. გამოკითხულთა უმრავლესობის აზრი მისგან არსებითად განსხვავდება, თუმცა მის შიგნით გამოიკვეთა ორი, გარკვე-

ულ ნილად, ურთიერთდაპირისპირებული მიდგომა რესპონდენტთა უმრავლესობამ ჩათვალა, რომ ქართული ლიტერატურით გერმანელი მკითხველის დაინტერესება მეტად სავარაუდოა, ოღონდ ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მათ ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული, რომ არ ვთქვით, ურთიერთსაპირისპირო არგუმენტები მოიშველიეს.

პირველი პოზიცია, რომელიც ნათლად გამოხატა ჟურნალისტიმა მაკა ანთიქემ, ასეთია: „ქართული კლასიკა საინტერესოა უცხოელი მკითხველისათვის თავისი თვითმყოფადობით და შესაძლებლობით, რომ გაეცნოს აბსოლუტურად განსხვავებულ კულტურას, ახალ ეთნოგრაფიულ სამყაროს უცნობი ადამიანებით და უძველესი ისტორიით. ვარდა ამისა, როგორც ნებისმიერი ლიტერატურა, იგი უზრუნველად განიჭებს დიდ საამოვნებას, რადგან ვიღებს კარს იღუმალ სამყაროში, რომელიც აღწერილია განსხვავებული ენით“. მას ეთანხმება ჩემი კიდევ რამდენიმე თანამოსაუბრე. მაგალითად, აბიტურიენტი ანა მაღრაძე აღნიშნავს, რომ მისი აზრით, „ძალიან ბევრი უცხოელისთვის საქართველო არის „terra incognita“. ჩემი აზრით, ქართული ლიტერატურა მათ აღმოაჩენინებს ახალს და ამით მიზნიდავს მათ“.

ამგვარ მიდგომას და ადგილობრივი, ლოკალური ელფერის წინა პლანზე წამოწევას არასაჭირო „თვითეგზოტიზაციად“ მიიჩნევს ანთროპოლოგი თინათინ ხომერიკი. მეტიც, მისი აზრით, საკითხი იმის შესახებ, თუ რა იქნება საინტერესო ვეროპელი, „დასავლელი“ მკითხველისათვის, ინტერესს მოკლებულია. მისი არჩევანი შემდეგია: „ვეცდები, არ ვუფიქრო სხვისი პოზიციიდან. ამის ნაცვლად, იმაზე დავფიქრებდი, რე მრას მეუბნება ეს სია, საიდანაც რამდენიმე ავტორს წაწარმოებს გამოვკვეთდი“. საინტერესოა, რომ თვითვე ზოტირაძის კონცეფციის გამოთქმის გარეშეც, გამოკითხულთა ნაწილმა მიიჩნია, რომ უცხოელი მკითხველისათვის ყველაზე საინტერესო ქართულ კლასიკაში არა განსხვავებულის, უცხოის აღმოჩენა, არამედ პირიქით,



მარიამ ბერიძე, მარიამ ბერიძე

საცნობისა და მისაღების ამოკითხვა იქნებოდა. ასე, ლიტერატურათმცოდნე რამაზ ჭილაია ყოფის პოეტისადაში ინტერესზე ამავიღებეს ყურადღებას და უმნიშვნელოვანეს მოვლენად დაეთო კლდიაშვილის თარგმანს მიიჩნევს; ფიზიკოსი ირაკლი კორძაია ამბობს, რომ „კონკრეტულად გერმანელებისთვის განსაკუთრებით საინტერესო რეზო ჭეიშვილი უნდა იყოს, რადგან გაოგებენ, რატომ ვერ მოახერხეს აქამდე აღმოსავლეთ გერმანელების გაგერმანელება“, ხოლო ცხოველების უფლებათა დამცველი თინათინ ქაეჩანიძე თვლის, რომ გერმანელი მკითხველისთვის ყველაზე საინტერესო ვაჟა-ფშაველას მოთხრობები უნდა იყოს, როგორც ბუნებისადმი ევროპელისათვის გასაგები და მისაღები პოზიციის გამოხატველი.

თუმცა, რამდენადაც უნდა ვცადო პოლემიკის გამწვავება და პოზიციათა პოლარიზაცია, ობიექტურობის მკაცრი ღვთაება მოითხოვს ადვანიზმს, რომ გამოთქმულ პოზიციათა დიდი ნაწილი მაინც შუალედურ ხასიათს ატარებს და ორივე მიდგომის, როგორც «განსხვავებულიობის აპოლოგოსი», ასევე ანტიოთიეთვე ზოტიზაციის ნიშნებს მოიცავდა. ყველაზე სრულყოფილად ეს ბატონი ზაზა ფირალიძე თვლის მოსაზრებაში გამოიკვეთა, რომელიც ამ დისკუსიის საინტერესო შეჯამებად მეფეიწება: „ჩვენი კლასიკოსი მწერლების მეშვეობით გერმანელ მკითხველს შესაძლებლობა აქვს გაიხსენოს ის ფართული, პარალელური გამოცდილებები, რომლებიც, თურმე, შკოლია, და ჩვენთან იდუმალი თანაყოფის სიკრცე აღმოაჩინოს. რაღაც აზრით, ეს უფრო დაკავალბოვებს, ვიდრე რაიმე პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფაქტორი“.


თუ მართალია მარკ ტვენი და კლასიკოსის ნაწარმოებები, ყველას რომ უნდა წაკითხული ჰქონდეს, მაგრამ არაფინ კითხულობს, მაშინ იქნებ ქართული კლასიკოსის წინამდებარე კვლევით ნათლად წარმოჩე-



სტალინის პორტრეტი

ნელი ამბივალენტური, თითქმის შრედინგერის კატის მდგომარეობა დამატებითი უპირატესობებს მომტანიც აღმოჩნდეს. ჩვენთვის კლასიკური ნაწარმოებები ხომ ასეთებად ნაკლებად აღიქმება ევროპელი მკითხველისათვის, რომელიც მათ დიდ ნაწილს საერთოდაც, პირველად გაეცნობა. რა არის ცუდი ეგზოტიკურობაში, თუ ის მკითხველისა და წიგნის შეხვედრას უზრუნველყოფს, პირველადი ინტერესის გაღვივებას შეუწყობს ხელს? ლიტერატურული ბაზარი, რაც უნდა სამწესარო იყოს ზოგჯერ ამის აღნიშნა, რა თქმა უნდა, ლიტერატურულიცაა, მაგრამ ამავდროულად, ბაზარიც, და მარკეტინგის მკაცრ კანონებს აქ გვერდად ვერაფერ აუვლის. ხოლო მკითხველისა და წიგნის უკვე შემდგარი კავშირის, დინამიკის განჩინის შემდეგ, ევბე გადამწყვეტი როლი სწორედ თანაკვეთის არებება, საერთო მსოფლმხედველობაში და პარალელური გამოცდილებების სიუხვემ შესარულოს?! იქნებ შესაძლებელია იყო სხვა, მაგრამ სხვა მე. მოვლენების ამგვარი განვითარება, ალბათ, საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, ხოლო ფრანკფურტის ბაზრობა და მისთვის მომზადებული თარგმანები ამის რეალურ შესაძლებლობას ქმნის. „ჩვენ ხომ ბოლოს და ბოლოს ერთმანეთს უნდა შეხვედეთ მას შემდეგ, რაც კონსტანტინოპოლი დაეცა და ისტორიულმა ბედისწერამ ევროპული სამყაროსგან დაგვაშორა. ყველაზე კარგად ამ დიდი საქმის გაკეთება კი, ალბათ, ჩვენსა და გერმანულ შეწრობას ძალუძს“ - ამბობს ზაზა ფირალიძე.

ვინ იცის, როგორი იქნება ეს შეხვედრა და რა შედეგები მოჰყვება. იქნებ, როგორც მიხილ ჯავახიშვილის „თეთრი საყვარელი“ გმირისთვის, ეს მძიმე განსაცდელი და ახალი სამყაროს აღმოჩენის საშუალება იყოს; ანდა, როგორც იაკობ გოგებაშვილის „იენინანა“ რა ჰქმნას? მთავარი პერსონაჟი ქეთოსთვის, წამიერი უღდა და მის დაბრუნების მარყუებელი. ვინ იცის, მაგრამ ყველაფერი ასე საინტერესოდ იწყება.




სტალინის პორტრეტი



ნინო სასთუმლიძვილი

მწერლებსა და რომანებზე

ფრანკფურტის ბაზრობა და ოლიმპიური ზავი ქართულ ლიტერატურაში



მრავალფეროვნება, აი სიტყვა, რომელიც საუკეთესოდ ახასიათებს ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობისათვის ნათარგმნ ქართულ თანამედროვე ლიტერატურას. თითქოს მუდმივად გვეამის აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილი სალიტერატურო კრიტიკისა და პრეტენზიული მკითხველის ხმა, თითქოს არ იწერება, არ იქმნება საკმარისი რაოდენობისა და ხარისხის რომანები; თითქოს რომანი არაქართული, ქართულ ხასიათთან ძნელად შეთავსებადი მოვლენაა და მას ჩვენი ლიტერატურა სახსრების ჭრილობით თუ უღებს ალღოს. ქვეყნის განხვევის დროს ამგვარი მოსაზრებების სიჭარბე, შესაძლოა, სასარგებლო, მასტიმულირებელიც იყოს. მაგრამ დადგა ჟამი ქვითა შეგრთვებისა და მიღებულია შედეგმა, მირადად მე საინტერესოდ გამაკვირვა.

საერთოდ, შეშინებულია, რომ ბანქო უკეთ მოწონებულ მოთამაშეს მოსდის და საუკეთესო გოგონებს ამინდით მუდამ უკმაყოფილო ფურცლები ზრდის. საკითხავია, რაიმე მსგავსთან ხომ არ გვექვს საქმე, რადგან ქართული რომანის ბრწყინვალეობა და სიღატაკეზე მოთქმით, მკონი, ისე გავერთოთ, რომ შემოდგომა წინიღების თვლისა უცვლად მოგვადგა თავს, თანაც საკმაოდ შთამბეჭდავი შედეგებით.

ფრანკფურტის ბაზრობამ ქართულ ლიტერატურულ სივრცეში თითქოს ოლიმპიური ზავი მოიტანა. ანდა, უფ-

რო ზუსტად, კიპლინგის მიერ აღწერილი წყლის ზავი, როდესაც გვალვის დროს ნადირობა იკრძალება და ერთი მიზნის მიხედვით საყოველთაო ერთობა ისადაგურებს. სწორედ ამგვარმა მიდგომამ, წიგნის ერთნაირი ცენტრისა და სხვა ორგანიზაციების თანამშრომლების თავდაუზოგავ, მაღალპროფესიონალურ შრომასთან ერთად, საშუალება მოგვცა კმაყოფილებითა და დიდი მოლოდინით გადავივლოთ თვალი სამ ათეულზე მეტ თანამედროვე რომანს, რომელიც ამ ღონისძიებისათვის უკვე ითარგმნა და გამოიცა.

შესაძლოა, რიცხვი კოლოსალური არ არის, მაგრამ, ვფიქრობ, შთამბეჭდავია საკმაოდ მცირერიცხოვანი მოსახლეობის მქონე ქვეყნისა და ძალიან შეზღუდული ლიტერატურული ბაზრისთვის. რაოდენობაზე უფრო შთამბეჭდავი კი, ჩემი აზრით, ის პანორამაა, რომელიც ამ წიგნების საშუალებით მკითხველმა შეიძლება დაინახოს. ქვემარჩივად, ალბათ ნებისმიერი გემოვნების მკითხველი იპოვის აქ თავისთვის საინტერესო, სასიამოვნო საკითხავს. ამასთან, რომანების ეს სამი ათეული რეპრეზენტატული აღმოჩნდა და ერთდროულად ქართული ლიტერატურისა და საქართველოს წარმოსაჩვენად, მის გასაცნობად, ანდა ძველი მეგობრობის გასაღივებლად სამდვილად გამოდგება.

ამ წიგნებიდან ხმები ისმის, მათ გვერდებზე კი ჩვენი

პაპ მორილაძე, ლიბან სიმონიძის ფოტო



ანა კონიანი-სამბაშიძე. დედა ბრძოლის, ფოტო

ცხოვრების საკმაოდ ზუსტი პანორამა იშლება. ამას ხელი, ეფექტობ, იმასაც შეუწყო, რომ ნათარგმნ ნაწარმოებთა შორის როგორც „ვეტირანი“ ავტორების, ქართულ ლიტერატურაში თავისი ადგილის მქონე მწერლების, მაგალითად ნაირა გელაშვილისა და გურამ ოდიშარის, ასევე ნიჭიერი დებუტანტების ვერ კიდევ ბოლომდე შეუფასებელი, მაგრამ უდავოდ საინტერესო და აქტუალური რომანები მოხვდა: თუნდაც, ლუკა ბაკანიძის „მესამე ნაპირი“ და ბექა ადამაშვილის „ბესტსელერი“.


ამა თუ იმ ქვეყნისა და, შესაბამისად, მისი ლიტერატურისადმი ინტერესს, რასაკვირველია, გარკვეული პოლიტიკური, თუ ისტორიული კონტექსტი თუ არ განსაზღვრავს, ყოველ შემთხვევაში, სერიოზულად ხელს უწყობს. ამდენად, ვერ გავგექცევით ე.წ. ფოკუს-თემების არსებობას, როგორც თანამედროვე ქართულ რომანში უდავოდ 2008 წლის ომი და მასთან დაკავშირებული მოვლენები. ამას როგორც ტექსტების სიმრავლე, ასევე ევროპულ გამოცემებში დაბეჭდილი რეცენზიების სიმრავლე მოწმობს. მიუხედავად იმისა, რომ თუმა ყრთი შეხედვით შეზღუდულია და დიდ გასაქანს არ იძლევა ლიტერატურული დამუშავებისათვის, მასთან მიმართებითაც ჩანს ის საინტერესო მრავალნაზნაგოეობა, რაც მთელს ნათარგმნ მასალას ახასიათებს. განსხვავებულია ყველაფერი: ხედვის რაკურსი, წინა პლანზე წამოწეული პრობლე-

მები, ავტორისეული პოზიციები და, შესაბამისად, შერჩეული სტილიც, მწერლის ენა. ზაზა ბურჭულაძის მრავალმხრივ საინტერესო რომანი „ადიბასი“, მაგალითისათვის, ომის აბსურდულობას, ფიქტიურობასა და საზოგადოების ცნობიერებაზე ზემოქმედების თავისებურებას იკვლევს, ამიტომ მოვლენები თბილისში ხდება, გმირები კი ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან, რომელთა ცხოვრებაზე ამ მოვლენას არანაირი ხილული გავლენა არ მოუხდენია. საპირისპიროდ, რუსეთ-საქართველოს ომის თემაზე დანერჩილ, ჩემი აზრით, საუკეთესო ქართულ რომანში, თამთა მელაშვილის „გათვლაში“, ომის რეალური სახის და კონკრეტულ ადამიანებზე, მათ ყოფასა და ფსიქიკაზე მისი ზემოქმედების ზუსტი და სიღრმისეული კვლევაა ჩატარებული. ნაწარმოების მცირე მოცულობის მიუხედავად, მწერალი ახერხებს საოცრად დამაჯერებელი და საინტერესო პერსონაჟები შექმნას და რუსეთ-საქართველოს ომი მოზარდი გოგონას თვალებით დაგვიჩვენოს, მისეული, სპეციალურად რომანისთვის კონსტრუირებული ენით აღვნიშნო. მოვლენების დანახვის საინტერესო რაკურსს გეთავაზობს ლამაზ ბულაძე, რომლის „ლიტერატურული ექსპრესის“ გმირიც ომის დროს ევროპაშია და მოვლენების დიდ დისტანციაზე აღქმის თავისებურებას გვაჩვენებს.

მათთვის, ვისაც ომზე მეტად მშვიდობა აინტერესებს,



ნინო კონიანი-სამბაშიძე, ფოტო



ლევან ბერიძე, ლიბერალიზაციის მწიფი

არჩევანი არანაკლებ მრავალფეროვანია. თითქმის არ არის სიერცე, ან საზოგადოების ვჯვლი, რომელიც ამა თუ იმ ფორმით, არ პოულობს თავის ადგილს თანამედროვე ქართული რომანების გვერდებზე. უთქვიათ, თბილისის ერთ-ერთი საუკეთესო, მრავალფეროვანი და მრავალი ეპოქის მომცველი ლიტერატული რეპერტუარის მფლობელი ნიმივილის მოსაზრებით, ყველა დროის საუკეთესო ქართულ რომანთა ხუთიველი შედის და ამ მოსაზრების პოლემიკურობის მიუხედავად, შეუძლებელია არ დაეთანხმო ნაწარმოების დადებით შეფასებას. ახალგაზრდა დებუტანტი რომანისტი გურამ მაცხოვრებელი ყურადღებას გარუხუნების მოსახლეობას და განსაკუთრებით კი მონეულად ვჯვლებს უთმობს. მისი „გლადნი“ „ბუტონის ჯუხნელების“ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ყოფის გააზრების საინტერესო მცდელობაა. ყველა ჯურის მარგინალეზისა და ექსცენტრიკოსების, თავისებური და, ამავე დროს, რეკულენტივი ადამიანების ხმა მკაფიოდ, ხმაოდ-ლა, ზოგჯერ – დამარცხილი ისმის ანა კორძაია-სამბაძე-ვილის რომანების გვერდებიდან. მწერალი, რომელიც დათვის მთაში მიტოვებულ სახლში შესვლის ისტორიისაც კი საინტერესოდ ვჯვება, „შუმანი კის შეიღებისა“ და ჩაიკას (რომანი „ეინ მოკლა ჩაიკა“) შეგობრების ამბებით ქართული საზოგადოების ერთი დიდი და შეუმჩნეველი ნაწილის კოლექტორ პორტრეტს ქმნის, შესაბამის ინტერერში. მისი დახვეწილი ენა და უხად სიტყვა კი აუცილებლად ცალკე უნდა აღინიშნოს, როგორც თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა.

თან ერთად, მთელი ეპოქის დანახვის, გააზრების საშუალებას იძლევა.

ხოლო თუ მავანს საქართველოს თანამედროვე პრიზმებით დაბუნდული ტექსტები დადლის, ანდა დროსა და სიერცეში მოგზაურობა მოუწდება, არც ასეთ შემთხვევაში დარჩება იმედგაცრუებულ. მეცხრამეტე საუკუნის თბილისში გასეირნება, საუკეთესო ტკბილეულის მირთმევა და უცხოელ გამომიხეტთან ერთად იდუმალი საქმის გახსნა – აი არაბული ჩამონათვალი იმ ატრაქციონებისა, რასაც აბო იამალაშვილის „როიალ მერ“ სთავაზობს მკითხველს. ძველფილიურ მეტყველებად სტილიზებული ენა და თბრობის დინჯი მანერა კი გარემოს სრულად მეგრძნობისა და რეალიზობისაგან აბსტრაქციონის მშვენიერ საშუალებას გვაძლევს.


არ არის გამორიცხული, მკითხველს საქართველოს გარემო მოგზაზრდაც და თბილისის პეიზაჟებით დაღლილს, საზღვარგარეთ გასეირნება მოუწდეს. ასეთ შემთხვევაში, სულაც არაა აუცილებელი ქართულ ლიტერატურასთან თავისი ურთიერთობა შეწყვიტოს. ნესტან ნეენე კეიხიკაძის „ისპაჰანის ბულიბული“ საშუალებას მისცემს ასეთ მკითხველს ქართულ ახალგაზრდებთან ერთად ვერობაში გაისეირნოს. უცხო თვალთ, ვარდნად დანახული საკუთარი ყოფა კი შეიძლება მრავალმხრივ საინტერესო აღმოჩნდეს. მეორე მხრივ, ხათუნა თავდგომის „თევზი თბი ჩრდილით“ კიდევ უფრო რადიკალური თერაპიაა, რადგან მოქმედება გამოიწილ სამყაროში ხდებდა და რომანი მთილოლოგისა და ფუნქტის „ზღვარზე შემინილი ტექსტა“, ამდენად, ვანროლ ლიტერატურის მიუვარული მკითხველის ინტერესიც შესაძლოა ნაწილობრივ დააკმაყოფილოს.

მოკლედ, როგორც არ უნდა მოეშადათ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის მსგავსი ღონისძიებისათვის, უცხო-რისობის გრძობა მაინც დაგვარჩება. მავარი მესრულბებულ საშუაო, როგორც წინამდებარე მცირე მიმოხილვებიდან ჩანს, ოტიმინზის საშუალებას ნამდვილად იძლევა. მართალია, აღნიშნული ტექსტები განსხვავებულობასთან ერთად, ძალიან არათანაბარია, როგორც მოცულობით, ისე ხარისხით; მართალია, კარგი იქნებოდა კიდევ სამიოდ ათეული საინტერესო რომანი გვეყრიოდა და გვეყარგმნა; მართალია, არ იქნებოდა უროგო... მავარი ეს ხომ იცნებებია. რეალობა კი ისაა, რაც ვჯვავს. ლიტერატურა წარმოგვარჩებს, გვახსიათებს, იძლევა ჩანმოდგენას ჩვენს შესაბამ. ლიტერატურულ რუკაზე ნაცვლად თეთრი ლაქისა, წარწერით: „აქ ცხოვრობდა რუსთაველი“, ჩნდება ქართული რომანის კონტურები და ეს, ვჯიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია.

და თუ ვჯვლა სხვა შემთხვევაში დაბარისპირება, კამათი, პოლემიკა ვჯანსაღი და აუცილებელი მოცუვნებით ცალ ლიტერატურაში, ამჯერად, ქვეყნისა და მისი კულტურის სრულად ნარმოჩენის იდეამ, თბი მურთველები მოწინააღმდეგეებიც შეარცხა. ყველას გვახსოვს, რომ 2017 წელს ქართული ლიტერატურული სიერცე ორ ნაწილად გაიხლითა: არწილ ქიქოძის „სამხრეთული სპილოს“ და ალექო მუღლაძის „გადამიღვის“ მომხრეებად. ერთ წელს გამოსული ეს ორი, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, ბრწყინვალე რომანი, საკმაოდ გასხვავებულიად გვთავაზობს საკითხთა ერთი, თუმც ძალიან ფართო წრის ანალიზს: კონკრეტული პერიოდისა და ურბანული სიერცისთვის დამახასიათებელ პრობლემებს აშუქებს. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ორივე მთავანი ხელმისაწვდომია უცხოელი მკითხველისათვის და საინტერესო ამბებთან, პოეტურ პასაჟებთან და დახვეწილი ოუმორ-

ლექსი დორეული

როგორ ვთარგმნოთ ტკივილი ანუ პოეზია ენის ტყვეობაში



ფაქოლიანი

„არ დაიჯერო პოეტო, არ ითარგმნება ტკივილი“ - ცნობილი ქართველი პოეტის, ვახტანგ ჯავახიძის ერთ-ერთი ლექსის ეს საფინალო სტრიქონი, რომელიც ფრანკფურტის ნიგნის ფესტივალისთვის, ბედის ირონიით, არავის უთარგმნია, ზუსტად გამოხატავს, განსაკუთრებით, ქართული პოეზიის ლინგვისტური ჰერმეტიზმის სიღრმის ისტორიას.

პოეტებისთვის, რომელთათვისაც ენობრივი სამშობლო საქართველოა, ქვეყანა, რომლის ენაზეც მსოფლიოში, მაქსიმუმ, 4 მილიონი ადამიანი საუბრობს და კითხულობს, ლიტერატურის გლობალური, საერთაშორისო ქსელი, მეტ-ნაკლებად, დახურულია.

ქართული პოეზიის ის ნაწილი, რომლისთვისაც კონვენციურობა, გერნიფიკაციული ტრადიციის ერთგულება და პროსოდიული, რიტმული მრავალფეროვნება დამახასიათებელი, ლოკალურობის სრულიად ბუნებრივ საზღვრებშია მოქცეული.

მეოცე საუკუნის ლიტერატურათმცოდნეობაში ისეთი პოეტური ელემენტები, როგორებიც არის: ინტონაცია, რითმა, რიტმი, თუნდაც, ალიტერაცია და სხვა ფორმალისტური მახასიათებლები გაიანზრადოვრეს სემანტიკური, შინაარსის მატარებელი და გამოხატველი სტრუქტურები. შესაბამისად, ქართული პოეზიის თითოეული ნიმუში თარგმანისას რთულ ჰერმეტიკულ პროცესს გადის - იმისთვის, რომ მისი სხვა ენაზე, ასე თუ ისე, სრულყოფილი მეორედ დაბადება მოხდეს, საქაროა ენებს შორის მონახოს აპექტივის, საერთო პოეტური წარმოსახვის, სინტაქსური ლოგიკის ის ზონა, სივრცე, რომელშიც შესაძლებელია „მეტაფორის მეტაფორასთან შეხვედრა“.

აქედან გამომდინარე, სამწუხაროდ, ქართული პოეზია, მიძლევა ითქვას, საკუთარი ენისა და პოეტურ გამომსახველობათა მრავალფეროვნების, როგორც ქართველი ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვი-

ლი იტყვოდა, „პასიური მსხვერპლი“ გახდა.

არადა, თავისი სააზროვნო კონტექსტით, პოეტურის გაგებით, მეტაფორული და სიმბოლური სტრუქტურებით ქართული პოეზია, ერთი მხრივ, ძალზე თავისთავადია, მეორე მხრივ კი, გოეთესკული „მსოფლიო ლიტერატურის“ ნაწილია.

როგორც თანამედროვე, ისე კლასიკური ქართული პოეზია, ლიტერატურის განვითარების დასაველურ მოდელთან ახლოს არის და, მეტიც, მისი ინტერტექსტუალური ლოგიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული გერმანულ, ფრანგულ, ბრიტანულ და ა. შ. ტრადიციასთან.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული პოეტური აზროვნების ვერსიფიკაციული ტრადიციისგან გათავისუფლებისა და „პოეტურის“ გაგების კიდევ ერთი გაფართოების ხანა იწყება.

ამ პროცესს სათავეში უდგანან, ერთი მხრივ, ტარიელ ქანტურია და ვახტანგ ჯავახიძე, რომელთა სახელებსაც პოეტური მეტყველების კლასიკური გაგების ველიდან დისკურსული გათავისუფლება უკავშირდება, ხოლო, მეორე მხრივ, ქართულ ლიტერატურაში საფუძველი ეყრება ორი უმნიშვნელოვანესი პოეტის, ლია სტურუსა და ბესიკ ხარანაულის ვერლიბრის, თავისუფალი ლექსის ძლიერ ტრადიციას.

შესაბამისად, ბევრად ფართოვდება ლიტერატურის საკომუნიკაციო ველი და, იმედი მაქვს, ფრანკფურტის ნიგნის საერთაშორისო ბაზრობის დახმარებით თანამედროვე ვეროპულ მკითხველთან სენეხული ავტორების ტექსტები „გაგების“ ბევრად ახლო დისტანციაზე აღმოჩნდებიან.

2018 წელს გამოქვეყნდებოდა Dagvill Verlag სწორედ ბესიკ ხარანაულის პოეტური კრებული Fünf Dichtungen გამოსცა.

ნიგნი, რომელიც 5 პოეტურ ტექსტს აერთიანებს, ცხადია, მხოლოდ ნაწილობრივ გამოკვეთს ბე-

სიკ ხარანაულის ესთეტიკას, თუმცა მათში მაინც კარგად ჩანს პოეტის ნარატული ხელნერა.

ხარანაულის შემოქმედებაში თხრობითი თვალსაწიერი თუნდაც მესამე პირის მრავლობითი ან სულაც მეორე პირში ინარჩუნებულია, მაინც ტოტალურად არის მიჯაჭვული „მე“-ს პერსონაჟს. ის სულაც არ არის „ადამიანი „მე“-ს გარეშე, თუმცა პოეტური ეგო იმდენად უნიფიცირებულია, რომ ავტორის პირადი, ემოციური გამოცდილება ერთგვარი სიმბოლოების სენსორულ ეკრანს ჰქვავს.

შეიძლება ითქვას, რომ მესიკ ხარანაულის ტექსტები, გარკვეულწილად, ავტოაფექციურია, რადგან ისინი თავად მათივე შინაგანი ტექსტის ამოსუნთქვას ცდილობენ.

გარდა ამისა, საინტერესოა ისიც, რომ ხარანაულის პოეზიაში თვისობრივ ტრანსფორმაციას განიცდის მკითხველი, აუდიტორიის თვალსაწიერი.

ის ინტერაქციაში შედის არა ფიზიკურად არსებულ მკითხველთან, როგორც კონკრეტული ადამიანების სოციალურ ვჯუფთან, რომელსაც ლიტერატურის მითი აერთიანებს, არამედ მის შინაგან აუდიტორიასთან.

ხარანაულის შემოქმედებაში დანგრეულია კედელი, რომელიც ადამიანებს სიკვდილისგან ეგზისტენციურად აყოფს და მისი ერთ-ერთი ძირითადი საკვლევი თემა სწორედ სიკვდილი და მისი ენობრივი აზებია, ხარანაული ცდილობს, შექმნას სიკვდილის ენობრივი გამოცდილება.

სიტყვებს შორის ახალი რელაციური კავშირების აღმოჩენის ნამდვილი ჯადოქარია უფროსი თაობის წარმომადგენელი კიდევ ერთი საოცარი პოეტი **ლია სტურუა**, რომლის ნიგნიც Gedichtband ამ ავტორის მრავალფეროვანი შემოქმედებითი ცხოვრების მრავალ ასპექტს აშუქებს.

ლია სტურუამ განსაკუთრებული, უჩვეულო ტროპული და სინტაქსური ველი შექმნა ქართულ პოეზიაში. მისი ტექსტები მეტაფორულობით გამოირჩევა, თუმცა ისინი არასოდეს წარმოადგენენ დეკორაციას, რომლის ეკრანზეც მხატვრული აზროვნება გადის.

შეუძლია თუ არა დუმილს იქვას, რომ დუმილია? ლია სტურუას ლექსებიდან ხშირად სიჩუმის ექოები

გვეხმის, სიტყვები აქ თითქმის მხოლოდ ბრუნვებში ბუნ ერთმანეთს და ერთმანეთთან შენთხვევითობის ლოკაციით შედიან სინტაქსურ რეაქციებში.

მოუხედავად იმისა, რომ მასთანაც შეიძინება სუბიექტის პერსონაჟი, არ არსებობს ამბავი, ემოციის დაბადება, მისგან ვირტუალური ხატის წარმოება, რომელსაც „მე“ არ ეხსრება, ავტორის პოეტური წარმოსახვა ხშირად „უნებელი მესხიერების“ პრინციპით დაუნიებით მიიწევს წინ.

შეიძლება ითქვას, რომ ლია სტურუას პოეზია სრულიად ცელიბატურია, მას მოძრაობის უნიკალური, საკუთარი ორბიტა აქვს.

სულ სხვა ვახს ირჩევს **დათო ბარბაქაძე**, რომლის პოეტური ექსპერიმენტებით, კონცეპტუალური ძიებებითა და თვითდევინსტრუქციული ლოკაციით გაჯერებული კრიტიკული **Das Gebet** მკითხველისთვის, გარკვეულწილად, მისანდომს ხდის ტექსტთა დაწერამდე ფორმებს. შეიძლება ითქვას, რომ ბარბაქაძის ტექსტების ნაწილში მკაფიოდ ჩანს მათი შექმნის, მათზე მუშაობის პროცესი, თუნდაც ეს უკიდურესად ინტუიციური იყოს.

ბარბაქაძის ტექსტები რეალობის იმიტაციას ან პოეტურ ტრანსლირებას არ ცდილობენ, ავტორს შეუძლია გამოიწვიოს მეტაფორის არსებობა და მას მხოლოდ საკუთარი თავის გამოსახვა დაევალოს.

საპირისპიროდ, თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ქართული ავტორის, **ზეიად რატიანის** პოეზიაში ტექსტზე მუშაობის პროცესი ხილული სულაც არ არის.

ნიგნიც **Requiem für Lebendigen** (მთარგმნელები: საბინე შიფერი და უეე კოლბე) ტექსტების უმეტეს ნაწილს ის გამოარჩევს, რომ ავტორისთვის წერა ხშირად მხოლოდ მომენტია.

ემოციების, საკუთარ შეგრძნებებზე დაკვირვების სპონტანურობა შესაძლებელს ხდის, რომ ამბებს, ერთმანეთთან მიჯრილ მოვლენათა უწყვეტ კადრებს არსებობის მხოლოდ ერთადერთი ფორმა შეიძლება გააჩნდეთ და ეს ფორმა ლიტერატურაა.

რატიანის ტექსტები გვაგრძნობინებს, რომ შესაძლოა გაუქმდეს, შეწყვიტოს ვირტუალური ყოფ-ლა უამრავმა საგანმა, აზრმა, ხდომილებამ და შიშმა, თუ მის აღსაწერად არსებულ ერთადერთ სიტყვას



სალომეონ რიხი



ლიკა საბარა და ანა კალაღალია

ვერ ეიშოვიტ. მათ სხვა ენობრივ გამოცდილებებში თავის შეფარება უბრალოდ არ შეუძლიათ და გამო-სახელებათა და სიტყვას შორის მამინვე ქრება ასო-ციაციური ვავშირი, როცა ისინი კონკრეტულ ტექსტს ტოვებენ.

რატინის ენა ენა-ობიექტი, რომელიც კონკრეტულად ლაპარაკობს საგნებზე, რომელთა შორის კლასობრივი გამაერთიანებლები თითქოს არც არსებობს - მსგავსად ბორბეის ერთი უცნაური მოთხრობისა „ფუნესის მენსიერება“, სადაც სამყაროში არსებულ ყველა საგანს, ნივთს თავისი სახელი აქვს.

პოეტის მიერ გამოყენებულ სიტყვათა რეფერენტებს, საგნებს საშუალოდ ახსოვთ მათი შექმნის მოგონება და სწორედ ამით განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

სვიად რატინის ტექსტები მძაფრი ურბანული და სოციალურ-ეგზისტენციალური ელემენტებითაც გამოირჩევა. თუმცა ეს არ არის მოეზია, რომლის მიზანია საინფორმაციო დაიჯესტში მოხედ-რილ „ნიუსებს“ პირველი გამოცემისა და ან შეტყობინების ფუნქცია იტვირთოს. ლიტერატურა მისთვის უფრო ამ სოციალური გეოგრაფიისაგან გათა-

ვისუფლებსა და ხმაურის ჩახშობის რიტუალია.


სანიტერესოა იხივ, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიაში უცნაური სივრუტით აგრძელებს არსებობას კლასიკური პოეტური იაზიც. მეტაფორა და მისი ორნამენტულობა როგორც მისი მტკიცებულება, რომ საქმე ლიტერატურასთან გვაქვს, სიტყვების ენციკლოპედიური ველი, თუნდაც ბრწყინვალე, მაგრამ ენობრივი პოზიციის გამო შექმნისთანავე გასაგრობად განწირული ფრაზები, ლირიკა, რომელიც, როგორც ჯონ სტიუარტ მილი ამბობდა - შემთხვევითაა ყურმოკრულს ნიშნავს... ღათო მალრადის Giamto Ponti, ზემი აზრით, სწორედ ასე შეიძლება დავახსიათით.

გვიქრობ, ფრანკფურტის შიგნის ბაზრობაზე თანამედროვე ქართველ პოეტთა პერსონალური კრებულები არც ისე ვრცლად არის წარმოდგენილი, მაგრამ ის ესთეტიკური პოზიცია, რომლითაც ავტორებმა, მთარგმნელებმა და გამომცემლებმა ლექსების შერჩევისას იხელმძღვანელს, ბადებს იმედს, რომ ევროპული მკითხველი მათ გაუგებს.

როგორც ბორბეისი იტყვოდა: „სილამაზე გვისაფრდებდა. თუ შეგძინება უნარი გვაქვს, ვეგრძობთ მას პოეზიაში ნებისმიერ ენაზე“.



ბაბა ხაიქარაშვილი და ზაქარა ჯანაშია



Aus der Ferne

Neue Georgische Lyrik
Corvina Press Berlin

schauerlich dieses Wort ist: / Generation“) (შოთა იათაშ-ვილი);

„გამოვიგონოთ სიცრუის კუნძული / პორტის სამხრეთ-დასავლეთით / იქ / საითკენაც მზე იძინებს / შორეული / ჯერ აღმოუჩენელი კუნძული / გამოვიგონოთ“ („Eine Lügeninsel wollen wir erfinden / Südwestlich des Schiffshafens irgendwo / Dort / Wo die Sonne schlafen geht / Wollen wir uns eine Insel denken / die noch keiner je entdeckte“) (შალვა ბაკურაძე);

„აიღებ გრძელ მდინარეს, / თოკით გამოკვანძვ, / შეყოფ წყლის ყულღში თავს / და დაქანდება უცებ ყველაფერი“ („Man nehme einen langen Fluss, / Binde daraus einen Knoten, / Ziehe den Kopf durch diese Wasserschlange / und alles fließt sofort herab“) (მაია ხარიშვილი);

„მესმოდა, როგორ გაჰკვიდა / ქალი, რომელიც ჩუმად იდგა“ („Ich hörte, wie sie kreischte, diese Frau, / Die wortlos dastand“) (ელა გონიაშვილი);

„დაცული ვარ, / როგორც სიკვდილისიჯილთა საკანი, გლეხის ბელელი, / ქვრივის ხსოვნა, / საკრედიტო ბარათის კოდი“ („Ich bin geschützt wie eine Todeszelle, / eine Bauernscheune, das Gedächtnis / einer Witwe, eine Karte mit Geheimzahl“) (ბელა ჩეკურიშვილი);

„დღესდღეობით მთელ მსოფლიოში პოეზიას უფრო ნაკლები მკითხველი ჰყავს, ვიდრე პროზას. ქართული პოეტებიც ებრძვიან ამ მოვლენას. დაე, გერმანიაში ეპოვოთ მათ გულჩინიერი მკითხველი“, - ამ სურვილით ამთავრებს პირველი კრებულის-

თვის ნამძღვარებულ წინათქმას ზაალ ანდრონიკაშვილი.

მართლაც, ლირიკასთან შეუმზადებლად მისვლა უმეტესად წარუმატებლად მთავრდება. ლექსთან სათანადო განწყობით უნდა მიხვიდე - ყოფითობის მობეზრებას, ყოველდღიურობიდან გაღწევის მცდელობას, უჩვეულოს მონატრებას გულისხმობს ეს განწყობა. ამიტომ ერთობ საჭიროა ლირიკული ლექსების კრებული ვიზუალურადაც ახდენდეს ამგვარი განწყობილების პროვოცირებას. ამისთვის ზრუნავენ „კორეინუს პრესეს“ ამ გამოცემათა მხატვრები **ჰანს შაიბი** (დ. 1949) და **დიტერ გოლცშე** (დ. 1934) ლირიზმით აღბეჭდილი თავიანთი გრაფიკული ნამუშევრებით; ასევე წინასიტყვაობის ავტორები - ლიტერატურისმცოდნენი: ზემოთ უკვე ციტირებული **ზაალ ანდრონიკაშვილი** (პირველი კრებულისა) და **ჰილტრუდ გნიუგი** (მეორისა). ზაალ ანდრონიკაშვილი მკითხველის ინტერესს იმითაც აღვივებს, რომ გურამ დოჩანაშვილის (პროზაიკოსის!) ნათქვამს იხსენებს - ეს პატარა საქართველო პოეზიის რუკაზე დიდი ქვეყანააო. მერე კი ამ პატარა-დიდი ქვეყნის ათასწლოვან პოეზიას მიმოიხილავს საშური ლაკონიურობით. ქალბატონი ჰილტრუდ გნიუგი ასევე სხარტად ახასიათებს მეორე კრებულის ავტორთა შემოქმედებას. ვნახოთ, როგორ ახერხებს იგი ამას:

ბესიკ ხარანაული ქართული ლირიკის ნესტორს უწოდებს. ნესტორი ბერძნული მითოლოგიის გმირია და გერმანულ ენაში, ვითარცა ფრთიანი გა-



მონათქვამი, რამე მნიშვნელოვანი მიმართულების ან მიმდინარეობის საფუძველდაძგებს ნიშნავს. წინათქმის ავტორი ბეიკ ხარანაულს წარმოგედგენს როგორც ყოფითი მოტივების დამამკვიდრებელს ქართულ პოეზიაში. მისი სიტყვით, „კარტოფლის ამოღება ცხოვრების ლაიტმოტივის საიეს ღებულობა, ცხოვრებისა, რომელიც პროზას ნიახლოვულ ამ ლექსში თავისი მრავალი ასპექტით ვეკვლინება... სასაუბრო ენა განსაზღვრავს ლექსის ტონს, და ისეთი მეტაფორა, როგორცა კარტოფილზე ნათქვამი „ოქროები“, იშვიათად თუ ამობრწყინდება მეტყველების პროზაულ ნაკადში (ივლისხმება ლექსის ეს ადგილი: „...ამოგართო ოქროები, / პირი ვუჩინოო...“ გერმანულ თარგმანში: „...und das Ackergold ausheben, / um ihm Tageslicht zu geben...“ - ლ. ბ.). და ეს სიმბოლურად თანამედროვე ქართული ლექსისთვის“.

ბეიკ ხარანაულის მაგალითზე თანამედროვე ქართული პოეზიის სტილისტიკის ამგვარი განსაზღვრა საეჭვოა მართებულად მიგვაჩნია. კავიტ-პროზა თანამედროვე ქართული პოეზიისთვის უცხოა“, ვკითხულობთ წინასიტყვაობაში, რომლის ავტორს შეუმჩნეველი არ დარჩენია მნიშვნელოვანი სიახლე, რამაც ჩვენს ლირიაში გახული საუკუნის ბოლო მეოთხედში იჩინა თავი და უკვე მის მთავარ თავისებურებად იქცა. პილტრად გზიუგი ამის თაობაზე ძალიან საგულისხმო დაკვირვებას გვთავაზობს. იგი წერს:

„თანამედროვე ქართული ლირია... მიმართავს ყოველდღიურობას, აღსავსეს ხიფათებით, შოუ-ლოდნელობებით, სახამოვნო ნუსებით. ლირიკული „მე“ უპირატესად ბიოგრაფიული „მე“-ს სახით წარმოედგება ჩვენ წინაშე, რაც ამცირებს განსხვავებას მასსა და არტისტულ ავტონომიურ სუბიექტს შორის, - იგი (ლირიკული „მე“) თავისი სინამდვილესეული გამოცდილებიდან ამოდის. თუ პოლიტიკური ასპექტების თემატიკება ხდება, ეს ასპექტები სუბიექტური სინამდვილის გამოცდილებისმიერ


მიმენჭება“.

მართლაც, დოკუმენტურობა დღევანდელი ქართული ლირიკის დამახასიათებელ შტრიხად მოჩანს. პოეტური ფრაზა შეცვალა საგნობრივი სამყაროს ვიზუალურმა კონკრეტულობამ, შედიტაცია - სურათმა... ასეთია ბეიკ ხარანაულის ლექსი „ყარყატი“ (რითაც იხსენა მეორე კრებული) - ვიზუალური პოეტური ბატოვანების შედეგრი, ახალი ესთეტიკით შესრულებული ლექსის შთამბეჭდავი ნიმუში.


ეს თავისებურებანი მეტ-ნაკლებად ამ ანთოლოგიაში შეტანილი ავტორების თითქმის ყველა ლექსს ახასიათებს.

მაგალითად, თემურ ჩხეტიანისადმი მიძღვნილ პასაჟში ვკითხულობთ: „ლექსში იჭრება ქართული სინამდვილე, თვით სინაოლის გათიშვის შემთხვევებით კი, როცა ტელევიზორის ყურების დრო დგება და ქუჩები ცარიელდება... თემურ ჩხეტიანიც ხელს იღებს მყარ ლირიკულ სტრუქტურებზე, როგორცაა სტრუქტურად დაყოფა, რითმა, მეტრი, რიტმიულობა, ის ირჩევს პროზაულ მინიატურასთან მიახლოებულ ლექსს, რათა მიუახლოვდეს არტიკული ფორმით გაუმჯობესებულ სინამდვილეს“ (ხაზგაბანა ჩემია. - ლ. ბ.).

მაგრამ საგანთა სამყაროზე ყურადღება გადატანა პოეტური იდუმალების გაქრობის ხარჯზე როდი ხდება. „სიურრეალისტური ხატოვანებასა და თამამ მეტაფორისტიკაზე“ უარის თქმის მოიხდებოდა, „კარადა, ვაბა, ტყე, მიწდორი, სუნე, ბილიკი ესოვნურითყრობის იდუმალ ბადეს, რაც შერწყმულობის ახლებურ ფორმას ქმნის“, ვკითხულობთ წინათქმში, როდესაც ლელა ცუცქერიძის ლექსზეა საუბარი, სათაურად „აგარაკი“ რომ უხის და მართლაც რომ იდუმალების დიდი დოზის შემცველი ფრაზით იხვეება: „არაფერა ვიტყვოდი სიყვარულზე, / მაგრამ აგარაკის კარადა არ მასვენებს“ („Ich wollte mich über die Liebe nicht äußern, / aber der Schrank im Ferienhaus macht mir Angst“).



რეზანი / Roman



1. Tschabua Amiredschibi, Data Tutaschchia - Der edle Räuber vom Kaukasus. Kröner Verlag, 2018, Übersetzung: Kristiane Lichtenfeld, 700 Seiten. ISBN 978-3-520-61001-0.



2. Guram Dotschanaschwili, Das erste Gewand, Roman. Hanser Literaturverlage, 2018, Übersetzung: Nikolas Lomtadse, Susanne Kihm, 672 Seiten, ISBN 978-3-446-26013-9.



3. Naira Gelaschwili, Ich bin sie, Kurzroman. Verbrecher Verlag, 2017, Übersetzung: Lia Wittek, 169 Seiten. ISBN 978-3957322302.



4. Zurab Karumidse, Dagny oder ein Fest der Liebe, Roman. Weidle Verlag, 2017, Übersetzung: Stefan Weidle, 288 Seiten. ISBN: 978-3-938803-85-1.



5. Aka Mortschiladse, Obole, Roman. Mitteldeutscher Verlag, 2018, Übersetzung: Natia Mikeladse-Bachsoliანი, 200 Seiten. ISBN 978-3-96311-039-9.



6. Archil Kikodze, Der Südelefant, Roman. Ullstein Verlag, 2018, Übersetzung: Nino Haratischwili und Martin Büttner, 256 Seiten. ISBN: 978-3-550-08197-2.



7. Zaza Burtschuladse, Adibas, Roman. Blumenbar, 2015, Übersetzung: Anastasia Kamarauli, 192 Seiten. ISBN 978-3-351-05021-4.



8. Lascha Bugadse, Literaturexpress, Roman. Frankfurter Verlagsanstalt, 2016, Übersetzung: Nino Haratischwili, 320 Seiten. ISBN 9783627002237.




9. Ana Kordsaia-Samadashwili, Wer hat die Tschaika getötet? Roman. Verlag Hans Schiler, 2016, Übersetzung: Sybilla Heinze, 170 Seiten. ISBN 9783899300291



10. Nino Haratischvili, Das achte Leben (für Brilka), Roman. Frankfurter Verlagsanstalt 2014, 1280 Seiten. ISBN 9783627002084.



11. Dawit Gabunia, Farben der Nacht, Roman. Rowohit Verlag, 2018, Übersetzung von Rachel Gratzfeld. 130 Seiten. ISBN: 978-3-7371-0041-0.



12. Tamta Melaschwili, Abzählen, Roman. Unionsverlag, 2018, Übersetzung von Natia Mikeladse-Bachsoliani. ISBN 978-3-293-00439-9


ლექსები / Gedichte



1. Besik Charanauli, Sprich mir vor, Angelina. Dayeli Verlag, 2018, Interlinearübersetzung: Nana Tschigladse. Nachdichtung: Norbert Hummelt, ca. 300 Seiten. ISBN 978-3-935597-92-0



2. Guguschvili Badri, Der Tag der Menschen, Übersetzung: Maja Lisowski Pop Verlag, 2016 I 120 Seiten ISBN 978-3-86356-138-3



3. Rati Amaglobeli, Geheilßen: Kains Ernte oder: der Tod der Logik, Gedichtband. Dayeli Verlag, April 2018, Übersetzung: Irine Widmer, Nana Tschigladse. Nachdichtung: Sabine Schiffner, zweisprachige illustrierte Ausgabe, Gedichte georgisch/deutsch, 96 Seiten. ISBN 978-3-935597-90-6



4. Dato Barbakadse, Das Gebet, Gedichtband. Pop Verlag, 2018, Übersetzung: Maja Lisowski, 124 Seiten. ISBN-10 3-86356-220-8



5. Zviad Ratiani, Requiem für Lebenden, Gedichtband. KLAKE Verlag, 2018, Nachdichtung: Sabine Schiffner, Uwe Kolbe; Interlineare Übersetzung: Zviad Ratiani, Nana Tschigladse., 80 Seiten. ISBN-13 978-3-86356-220-5



6. Tschekurischvili Bela, Barfuß. Gedichtband. Verlag das Wunderhorn, 2018. Übersetzung: Lika Kewlischvili. Nachdichtung: Norbert Hummelt. 108 Seiten. ISBN 978-3-88-423-593-5


**კლასიკა /
klassische Literatur**



1. Schota Rusthaweli, Der Recke im Tigerfell. Ein altgeorgisches Poem. Deutsche Nachdichtung von Hugo Huppert. Reichert, 264 Seiten, 2014. ISBN-13: 978-3954900459




2. Nikolos Barataschwili, Gedanken am Flusse Mtkvari, Gedichtband. Arco Verlag, 2018. Zweisprachige Ausgabe. Übersetzung von Rainer Kirsch. 191 Seiten. ISBN 978-3938375761



3. Dawit Kldiaschwili, Samanischwilis Stiefmutter - Ein traurig-komisches Porträt georgischer Mentalität, Roman. Dörlemann, 2018. Übersetzung: Rachel Gratzfeld, 180 Seiten, ISBN 9783038200604



4. Michell Dshawachischwili, Das fürstliche Leben des Kwatschi K. Ein Gaunerroman (Erste vollständige Ausgabe in deutscher Sprache). Nora 2016, Übersetzt von Kristiane Lichtenfeld. 472 Seiten, ISBN:978-3-86557-407-7



5. Otar Tschiladze, Der Korb, Matthes & Seitz Berlin, 2018. Übersetzung: Kristiane Lichtenfeld. 464 Seiten, ISBN: 978-3-95757-531-9



6. Schota Tschantladse, Manifest Gedichtband. Traian Pop Verlag, 2016. Übersetzung von Maja Lisowski. 144 Seiten. ISBN 978-3-86356-130-7

**პროზაული
კრებულები /
Prosawerk**



1. Kote Jandieri, Globalisierung, KLAK Verlag, 2018. Übersetzung: Natia Mikeladse-Bachsoliანი, 110 Seite. ISBN: 978-3-943767-93-3




2. Paata Berikaschwili, Der Engel genannt Sali, Erzählungsband. Frankfurter Taschenbuchverlag, 2015, Übersetzung von Sergo Okropiridse, 316 Seiten. ISBN: 978-3-86369-260-5



3. Beso Chwedelidze, Der Geschmack von Asche, Erzählband. Leipziger Literaturverlag, 2013, Übersetzung von Anastasia und Luka Kamarauli, 150 Seiten, ISBN-13: 978-3866601802.

ანთოლოგია / Anthologie




1. Martyrien, Alte georgische Heiligenlegenden. Herausgegeben von Viktor Kallinke, Imogen Pare & Lascha Bakradze, Leipziger Literaturverlag, 2018, Übersetzung: Iwane Dschawachischwili, Adolf von Harnack, Karl Schultze, Nefi Amaschukeli, ca. 180 Seiten.

ISBN 978-3-86660-234-2



2. Georgien. Eine literarische Reise (German Edition) - Fatma Aydemir, Lucy Fricke, Abo Iaschaghachswili, Archil Kikodze, Anna Kordsala-Samadashwili, Nestan Nene Kwiniakadse, Ulla Lenze, Tamta Melaschwili, Katja Petrowskaja, Stephan Reich, Volker Schmidt, Irma Tawelidse, Julia Bührle-Nowikowa, Eine literarische Reise. Frankfurter Verlagsanstalt, 2018, Übersetzung: Rachel Gratzfeld und Sybilla Heinze, 220 Seiten.


ISBN: 978-3-627-00257-2



3. Bittere Bonbons, Georgische Geschichten. edition fünf, 2018, Auflage: Originalveröffentlichung Dreizehn ge-

orgische Autorinnen - Ketino Bakhia, Mari Bekauri, Nino Haratischwili, Anna Kordsala-Samadashwili, Nestan Nene Kwiniakadse, Lia Likokeli, Tamta Melaschwili, Rusudan Ruchadse, Nino Sadgobelaschwili, Nino Tarkhnischwili, Irma Tawelidse, Anina Tepnadse und Tea Topuria. Rachel Gratzfeld (Herausgeber, Nachwort). 256 Seiten. ISBN: 978-3942374934

დოკუმენტური პროზა, ფილმისტიფა და სხვ. / Dokumentarprosa, Philosophie u.a.



1. Merab Mamardashwili, Die Metaphysik Antonin Artauds. Matthes & Seitz, 2018, Übersetzung: Maria Rajer, Roman Widder, 190 Seiten.


ISBN: 9783957576248



2. Lewan Berdsenischwili, Heiliges Dunkel - Die letzten Tage des Gulag. Mitteldeutscher Verlag, 2018, Übersetzung: Christine Hengevoß, 264 Seiten. ISBN 978-3-95462-991-6



3. Rewas Gatschetschidse, Georgien im weltpolitischen Kontext. Wieser Verlag, 2017, Übersetzung: Maja Lisowski, 300 Seiten. ISBN: 978-3-99029-293-8




4. Die große Werkschau: Niko Pirosmani, der vergessene Held der Avantgarde, nach über 20 Jahren erstmals ausgestellt. Texte von Erast Kuznecov und Gogi Choschtaria. Hatje Cantz Verlag, 2018, 160 Seiten, 70 Abbildungen. ISBN 978-3-7757-4476-8



5. Diana Anfiadi, Wahrsagen durch Marmelade - Geschichten und Rezepte aus Georgien. Wieser Verlag, 2018, Übersetzung: Tamar Kotrikadse. ISBN: 978-3-99029-288-4



6. Wacho Babunaschwili, Kulinarik Georgiens - Das Kochbuch des Prinzen Bagrat von Georgien 1818. ca. Wieser Verlag, 2018, 200 Seiten, Übersetzung: Maia Pandshikidse. ISBN: 978-3-99029-306-5



Ala Mortschilase, Foto von Levan Chrecheulidze

Ufer“ und das „bestsellerische“ Umdenken der klassischen Literatur von Beka Adamashvili - mag sein, dass dank diesem eindrucksvollen Bouquet auch der georgische Roman, neben dem georgischen Alphabet und der Mehrstimmigkeit, ein Antlitz des Landes wird und seine Kultur und Wesenheit darstellt.


Ketino Basadse DIE REALITÄT DER MAUER UND DIE MAUER DER REALITÄT

Warum versuchen die literarischen Figuren von Givi Margvelashvili aus dem Text herauszuspringen?

Die Texte von Givi Margvelashvili sind besonders wichtig im Sinne der Frankfurter Buchmesse, da sie die 90-jährige eindrucksvolle und herrliche Epoche des Lebens des berühmten georgischen Autors und Philosophen in der deutschen Sprache darstellen.

Seine Romane, Theaterstücke, philosophische Werke wurden gerade an der Grenze der Durchquerung von diesen zwei Kulturen, von unterschiedlicher Weltanschauung und Identität verfasst.

Eine der bedeutsamen Bestrebungen der Werke von Givi Margvelashvili ist eben die Mauer der Realität und die Realität der Mauer abzurechnen, die zwischen



Givi Margvelashvili, Foto von Levan Chrecheulidze

Virtualität und Realität, zwischen dem Text und dem Leben, den Zuschauern und den Schauspielern, dem Leser und den literarischen Figuren errichtet ist.


Der Mauer als Metapher, die auch die Geschichte der Berliner Mauer umfasst, liegt schwere und interessante Lebensgeschichte von Herrn Margvelashvili zugrunde und ist nicht nur im Sinne der Literaturwissenschaft von Bedeutung.

Es ist schwer, die nationale Identität von diesem grossartigen Denker zu definieren, da er schon mehrmals erwähnt hat, dass seine linguistische Heimat Deutschland ist.

Levan Bregadze ANNÄHERUNG ZUR UNFILTRIERTEN WIRKLICHKEIT

Die moderne georgische Poesie auf Deutsch

Über zwei poetische Anthologien der modernen georgischen lyrischen Poesie ist in dieser Rezension die Rede. Beide wurden auf Initiative eines guten Kenners von Georgien und der georgischen Kultur, unseres Freundes, **Matthias Unger**, vorbereitet und in Berlin




2015 und 2017 im Verlag „Corvinus Presse“ herausgegeben. In diesen, in polygraphischer Hinsicht sehr anziehenden, Sammlungen sind mit jeweils vier Gedichten folgende Dichter präsentiert: **Zviad Ratiani, Schota Iataschwili, Schalwa Bakuradse, Maia Sarischwili, Ela Gotschiaschwili, Bela Tschekurischwili, Besik Charanauli, Temur Tschchetiani, Rusudan Kaischauri, Lela Tsutskiridse, Nato Ingorokva, Giorgi Lobdshandse, Nika Jorjaneli**.

„Die neue georgische Lyrik“ steht als Untertitel bei diesen Sammlungen und **neu** ist in der Tat die poetische Sprache, die diese - durch Biographien, Temperamente, Lebenserfahrungen voneinander sehr unterschiedliche Autoren verwenden. Neuartige Lexik, neuartige Syntax, neuartige Ausdrucksweise, im Allgemeinen, neuartiges Verständnis der Dichtkunst... Nach diesen Merkmalen sind die Autoren dieser Sammlungen ausgewählt. Deutsche Leser/innen werden ihre Gedichte durch vortreffliche Übersetzungen von **Norbert Hummelt** und **Sabine Schiffner** kennenlernen.

ქეთინო ბაზაძე

კედლის რეალობა და რეალობის კედელი

რატომ ცდილობენ გვიჩვენონ მარგველაშვილის პერსონაჟები ტექსტიდან გაქცევას?



ფრანკ კაუფსა „პროცესის“ საწყის თავში იოზეფ უ. თავისი საცხოვრებელი ბინიდან ვასფლისას მოსახვედრით ერთად ამჟამინის სილუეტს მოჰკრავს თვალს. კაცი ნახვევარი ტანით გამოჩნდება და როგორც კი მიხვდება, რომ კ-მ იგი შეამჩნია, მაშინვე სასწრაფოდ მიეფარება თვალს.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს „პერსონაჟი“ ერთ-ერთი ჩვენგანია. ის მკითხველია, რომელიც იმდენად შეტყუება რომანის მთავარი გმირის თვალთვალის კომპოზიტა, რომ უნებლეთ ტექსტისა და რეალობის სახელგანი გადგვება და როგორც კი აღმოაჩინა, რომ ის შეამჩნევს, მაშინვე თვალს მიეფარა.

თუ მემთხვევით პერსონაჟმა გამოვიჭირათ, მიხვდა, რომ რეალური ცხოვრებიდან მას დაფიქრებით უყურებთ, შეიძლება ტექსტი საშუალოდ ჩარჩუნის, მის ერთ-ერთი პერსონაჟად ქცევის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეთ.

მეორე მხრივ კი, თავად ნიგის პერსონაჟები ეცდებიან, რომელიმე ტექსტის საშუალოდ და გაეცდინ ჩვენს მხერგს, რომელიც მათ ნების თვის უფლებას უზღუდავს.

სწორედ ტექსტიდან გადრეკილი დაძვლებული ლტოლვა, საბედისწერო ფინია ქართული გერმანულენოვანი მწერლისა და ფილოსოფოსის, გვიჩვენებს მარგველაშვილის შენობების მთავარი თემა.

მისი რომანებისა და პიესების გმირები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ტექსტი დაძვრდეს, ნარატივი შეწყვეტოს, დაიწყოს მათი რომანს მიღმა ცხოვრება, ცხოვრება მკითხველის, საფიქრლოდ პანაშობიკონებისა და პოზიციების გარეშე.

გვიჩვენებს მარგველაშვილის პიესაში „მეფრეხელთა დარბაზი“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი (მეფე) სწორედ ამ თვალთვალის სინდრომით იტანება, ჰგონია, რომ სადაც, მათ მიღმა არსებობს ნამდვილი, რეალური სამყარო, რომლის ნეკრებიც დაფიქრებით უთვალთვალელებს საინფორმაციო მცხოვრებლებს.

საინტერესოა, რომ შეფიქრების მსგავსი გმირი, რომელიც, ერთ-ერთი ინტერპრეტაციით ღმერთს განასახიერებს, არა მენტორული ან მეტაფიზიკური, არამედ სრულიად იმანენტური მოვლენა და ამიტომაც იმ კედლის გარღვევას, რომელიც რეალობასა და ტექსტს ერთმანეთი-

სავან პეუსს, ზარბაზნის ექიმარების სრულით ცდილობს. როგორ უნდა მიხვდეთ, რომ ჩვენ ახლა ტექსტში კი არა, რეალობაში ვიმყოფებით? მარგველაშვილის გმირებისთვის, უცნაურია, მაგრამ ტექსტი იქ წყვეტს არსებობას, ტექსტის დრო მაშინ იწურება, როცა ბერძნულ ისტორიის გამოჩენა, დასრულება და ეს დასრულების წერტილი ისტორიის კოორდინატთა სისტემაში სულაც არ აღიქმება.

მეორე მხრივ, მარგველაშვილი მთავარ რეალობას აბასიათებს, განსაზღვრავს როგორც ონტოტექსტს, რომლიდან გადრეკილი, აბაია, მხოლოდ ლიტერატურულ ნაწარმოებში შექმნის შეიძლება.

არსებობა მეორედ დაბადების, გაქცევის ორ გზას, სტრატეგიას იცნობს: შეიძლება გაიქცე ტექსტში ან - ტექსტიდან.

გვიჩვენებს მარგველაშვილის ლიტერატურის ერთ-ერთი უმთავრესი ძალისხმევა სწორედ იმ რეალობის კედლის და კედლის რეალობის დანგრევა, რომელიც კონტრულურსა და რეალურს, ტექსტსა და ცხოვრებას, მყურებელსა და მსახიობებს, მკითხველსა და პერსონაჟებს შორის არის აღმართული.

„მყურებელთა დარბაზი“ არსებული კედელი მკიცრე და გამძლე, სავსებით რეალური აგურებისგან არის ნაშენი, რაც გვიბიძგებს სამყაროში არსებული იმ ლოკაციების, ზონების, სივრცის პოვნისკენ, სადაც შევძლებთ დავუშვათ მყურებელს, „თვალის ტრაქტორის“ (ბატაი), აღმოჩენით სამდვილო ეგზისტენციალურ მარტოობაში. სწორედ ამ გარემოებით ვხსნი იმ გაზრახვას და ყულადანყვეტას, რაც გვიჩვენებს მარგველაშვილმა მასთან დაფიქრებაში შეტყუებისას გამიხილა - ყველა რეცესორი, რომელიც ამ პიესას ვგავს, რატომაც არ თვლის საჭიროდ, რომ სექსანსე რეალური კედელი აღმართოს.

კედლის მეტაფორა, რომელიც მერქლის კედლის ისტორიულ ხდომილებასაც მოიცავს, მარგველაშვილის რთული და საინტერესო მოგრაფიიდან იხადება და არ ავებს მხოლოდ ლიტერატურა-ამიციანობითი მნიშვნელობა.

რთულია, განსაზღვროთ ამ დიდებული მოაზროვნის

ნა შიქდაბა ყოფილიყო თქვენი რაქდაბა



ტელ: 577 747-719

ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

09/136

